



ასპინძის

სახელოვნო

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ნოემბერი. 2019 * (9)56

მუნიციპალიტეტის სახეულოში

16 ოქტომბერს გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1 „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 დეკემბრის N971 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 ივლისის N39 12 გან-



კარგულეობაში „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ,“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. შპს „ასპინძის კეთილმოწყობისათვის“, მიმდინარე ანგარიშზე არსებული თანხიდან საოფისე ოთახების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისათვის, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მაკა პერიძე

შეხვედრები მოსახლეობასთან



23 ოქტომბერს, სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში ბესიკ ამირანაშვილი, რწმუნებულის მოადგილეები შალვა ბერძენიშვილი და შოთა როსტიაშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი კობა კობალაძე, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა მელიქიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის

წარმომადგენლები, სამთავრობო პროგრამის ფარგლებში, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში _ ტოლოში, ხერთვისში, გულსუნდასა და დაბა ასპინძაში მოსახლეობას შეხვდნენ.

სამთავრობო გუნდის წევრებმა შეხვედრაზე ადგილობრივ მოსახლეობას მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, სოციალური პროგრამები და სამომავლო გეგმები გააცნეს.

შეხვედრები მუნიციპალიტეტის სოფლებში ბრძელდება

სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში ბესიკ ამირანაშვილი, პარლამენტის წევრები გიორგი ხატიძე და გიორგი კობაძე, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა მელიქიძე და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში: საროში, ხიზაბავრაში, თოკსა და ვარგავში მოსახლეობას შეხვდნენ.

ცივლელი, განსახორციელებელი და მიმდინარე პროექტები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმა და ამ დრომდე აქტიურად გრძელდება.

საარჩევნო პერიოდში სოფელ საროში მოეწყო პირუტყვის გადასარეკი გზის გასწვრივ ლოზე, სოფელ ხიზაბავრაში _ გარე განათება,

თოკში _ სარწყულები სოფლის ტერიტორიაზე და რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფლის შიდა და ვარგავში მისასვლელ გზას.



გაიმართა „ევროპის მემკვიდრეობის დღეები“

ინიციატივა _ „ევროპის მემკვიდრეობის დღეები“ 1999 წლიდან ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის ერთობლივ პროგრამას წარმოადგენს, რომელიც მონაწილეობას იღებს ევროპის კულტურული კონვენციის ხელმოწერი 50 ქვეყანა, მათ შორის საქართველოც.

მიმდინარე წლის 5-6 ოქტომბერს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, უამრავი ღო-

და განხორციელდა შემდეგი თემატური ღონისძიებები:

ასფალტზე ცარცით ხატვა, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, ასევე ადგილობრივმა თეატრალურმა დასმა აჩვენა სპექტაკლი „დახილი“ ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მიხედვით.

ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთვნენ ბავშვები, მათ მონაწილეობა მიიღეს რო-



ნისძიება სწორედ „ევროპის მემკვიდრეობის დღეების“ ფარგლებში გაიმართა. აღნიშნულ ღონისძიებებს შუერთდა ასპინძის მუნიციპალიტეტიც,

ვინაიდან წელს „ევროპის მემკვიდრეობის დღეების“ თემა ხელოვნება და სანახაობა იყო, მუნიციპალიტეტში დაიგეგმა

გორც ხატვაში, ასევე გამოფენებშიც. მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.

ღონისძიება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ორგანიზებით გაიმართა

ნიადაგის ლაბორატორიული კვლევები ასპინძის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრში

ნიადაგის ნაყოფიერების დადგენის მიზნით, ასპინძის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრში ხელმისაწვდომია სპეციალური ლაბორატორიული აპარატურა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩავატაროთ ნიადაგის ქიმიური ანალიზი. ამჟამად, მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარეობს ცენტრის თანამშრომლების გასვლა, კონსულტაციების განევა და მოსახლეობასთან ერთად ნიადაგის საანალიზო ნიმუშების აღება, მათი კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებიდან.

დამოკიდებული ნიადაგის ნაყოფიერების დონის დადგენა.

აგროქიმიური გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ფერმერებს ეძლევათ რეკომენდაციები ნიადაგის ნაყოფიერების და, შესაბამისად, მოსავლიანობის ასამაღლებლად. აგრეთვე, მათ ვუწვევთ კონსულტაციებს კონკრეტულ ნიადაგზე კონკრეტული კულტურის მოყვანის მიზანშეწონილობასა და ორგანული და მინერალური სასუქებით განოყიერების შესახებ.

ზემოაღნიშნული აპარატურის მეშვეობით და დადგენილი წესის მიხედვით, აღებულ ნიმუშებზე ხდება ნიადაგის კვლევა მისი ქიმიური შემადგენლობის შესახებ: PH- ის დონის, EC-მარილიანობის, N - აზოტის, P - ფოსფორის, K - კალიუმის, Ca - კალციუმის შემცველობის განსასაზღვრად. სწორედ აღნიშნულ შედეგებზეა

ამასთანავე, ყველა დაინტერესებული მოქალაქისათვის ცენტრში მიმდინარეობს მათ მიერ წარმოდგენილი ყურძნის სხვადასხვა ჯიშზე შაქრიანობის დონის დადგენა.

ოლღა პერიძე-ველიჯანაშვილი, ასპინძის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი

(გაგრძელება. დასაწყ. წინა ნომერში)

ჯ ა ვ ა ს ა ს ი თ ი

(ეტიმოლოგიური წარმართი)

რადგან ჯავახეთის საზღვარი ყოფილა, როგორც დღესაც საზღვრავს დასავლეთზე ახალციხესა, ამ სოფელს უნდა სწევოდა ყოველ უპირველეს ჯავახეთს მომდგარი მტერი და რასაკვირველია, ეს სოფელი დიდი მსხვერპიც უნდა გამხდარიყო მტერისა. ეს ასეც ყოფილა!.. მართლაც მტერს ხშირად უოხრებია ხიზაბავრა და დიდი გაჭირვების დღე მიუყენებიათ მკვიდრთათვის. ეს რომ ასე ყოფილა. ხიზაბავრელებიც იძულებული ყოფილან უფრო მეტი თავის დაცვისთვის ეფიქრათ და კარგადაც ახორციელებდნენ ისინი თავიანთ აზრსა და გაჰყავდათ სოფლის ოკუპირებულ მდებარეობაზე, რადგანაც ხიზაბავრა მთასერ-ლეიანი, მიუდგომელი ადგილია, მეტადრე მტკვრის-

ჯავახი დედაკაცებიც სპარსულს ჰანგ-ზედაა მორთული, ლურჯი ან წითელი ალი-ჩითის კალთა ღია კაბები აცვიათ გრძელს ახალუხებზე: კაბის კალთის წვერები უკან დამაგრებული აქვთ წელის ბალებზე, რომელიც რამდენიმეჯერ შემოხვეული აქვს ეს ბალები და წინ ფეშდაბლის ყურებს შეადგენს ეს ბალები.

ყბებ შემოხვეულ თავზე, ჭრელი ან თეთრი ლეჩაქები ახურიათ: მოხუცი სიცივეში წითლიანს თავშეშვას იმატებენ, ხოლო კვირა-უქმეებში, ახალგაზრდა ქალები თავს წითელი ბაღდადებით იხვევენ და ახალ კაბებზე, ღლიავ ქვეშ, მკლავზე, თეთრ ჯაჭვებზე გაკიდული აბაზიანები ჰკიდიათ, რასაც სიარულის დროს, სასირო ბორკილიანი პატიმარებით ჩხარი-ჩხური გაუდის. წინ გულზედ ვერცხლის დიდრონი ღილები და თეთრი კოპჭები მოჭრელებული აქვთ.

თმა ათ-თორმეტ ნაწნავით გადმოყრილი აქვს მხრებზე, რაშიაც შავი ღაზლით ჩაქსოვილი აქვთ ლურჯი მძივები და აბოს კბილები (ლოკოკინას მგზავსი ძვლები), ხელები ზაფხულობით წითლად შეღებილი აქვთ ინითა და უბრალო ბეჭდები აცვიათ თითებზე. ასეთი მორთული ქალიშვილები კი ფეხშიშველა არიან ხშირათა. ზოგს კი ქალამანი აცვია და იშვიათად წულეცა.

სწავლა- განათლება

ჯავახი სწავლა განათლებას სრულია მომწყვდარია და ის ამას მტრული თვლით უყურებს. მთელ ჯავახეთში 18 სასოფლო სკოლაა, როდესაც ამოდენივე მცხოვრებ გურულთა შორის კი 100-მდე სასწავლებელი ითვლება.

ჯავახ-ქართველთა სასწავლებლები მასწავლებლებითურთ:

- 1) ხიზაბავრის ვაჟ. 2 კლ. სასწავლებელი 45 მოსწავლის და ქალების 1 კლ. 90 მოსწ. უკანასკნელს ჭრა-კერვის განყოფილება აქვს. პირველი მღ. ივ. გვარამაძემ დაარსა 1882 წ. მხოლოდ 1905 წ. გაორკლასიანდა კონსტ. გვარამაძის მეოხებით. მეორე ქალთა მღ. ვარძილოვა დაარსა 1905 წ. ხოლო ჭრა-კერვის განყოფილება პატრი მულაშაშვილის მეოხებით გაიხსნა იმავე დროს..
- 2) ბრალეთის 2 კლასიანი სამეურნეო განყოფილებითა, 53 ქართველი მოსწავლით (სომხებიც სწავლობენ); ეს სკოლა 7-8 წლის წინეთ გადაიტანეს ახალციხის მაზრის სოფ. ადიგენიდან, რადგან იქ ორი მოსწავლის მეტი არ ყოფილა და საზოგადოთ 8-ს არ აღმატებია.
- 3) კარტიკამის ერთ კლასიან 60 მოსწავლით.
- 4) ხერთვისისა ერთ კლასიანი 40 მოსწავლით.
- 5) ქილდის (ქრისტ. აღ.) ერთ კლასიანი 45 მოსწავლით.
- 6) ჩუნჩხისა (ქრისტ. აღ.) ერთ კლასიანი 70 მოსწავლით.

მთელ ჯავახეთში 12.872 მცხ. ქართველთა შორის 7 სასწავლებელია 393 მოსწავლითა.

დანარჩენი სკოლები სომეხთა შორისაა და ერთიც რასკოლინთა შორის, მაგ.: ალასტანში, დილიცკაში, ვაჩიანში, სათხში, კარნახში, არაგვამი, ხანდოში, აზაერეთში და ეშტიამი. ამ უკანასკნელში ქალების სკოლაც არის, რასკოლინთა შორის ბოლდანოვკაშია.

ჯავახი, სანახევროთ, ქართველი ლაპარაკობს წმინდა ქართულს; მთიული კილოთი, ზოგან კი ქართული სრუ-

ლებით გადავინწყებიათ და თათრულათ ლაპარაკობენ, არამც არა მაჰმადიანნი, თვით ქრისტიანებიც კი. კათოლიკეთა შორის, მაგ. კარტიკამში, ბავრაში, ტურცხში, თითო ხარაბში და ხულგუმში (დედა ენა მოუსპიათ და თათრულად უბნობენ). იქ სადაც ეკლესიებშიც ქადაგება და სწავლა დარიგებაც თათრულათ აქვთ. ხიზაბავრაში და ვარგავში წმინდა ქართული დღემდის დარჩენილა, ისე, როგორც მართლმადიდებელ ქართველთა შორის დაცულა დედა ენა. ქართველ მაჰმადიანთა შორის კი, იქ დარ-



ჩენიათ დედა ენა ხსოვნაში, სადაც მართლმადიდებელი ქართველები ცხოვრობენ მათთან ერთად, რომელიც ცალკე ცხოვრობენ იმათ ქართული ენისა აღარა იციან რა.

ჯავახეთის სიძველენი დევნილობიდან დარჩენილი

მთელი ჯავახეთი ძველათგანვე მტერთაგან დევნილი და აოხრებული რომ ყოფილა, ამას კარგად ამტკიცებს იმ დროიდან დღემდე მოღწეული ძველი ნანგრევი შენობა ნახელოვანები. ბევრგან შეხვდებით ჯავახეთის თვალ უწვდენი მინდვრის სივრცეზედ აბუშტულს სერის მსგავსს ლოდებით მოჯორგოლს. ან და კედლებსავით აყვანილს. ზოგან მათ შორის ეკლესიასაც შენიშნავთ თლილი ქვის ნაგებს. ნახავთ იქვე ორმოებსავით. მინაში გაყვანილ მხრელებს, რომლებიც ნადირ სოროებს ნაგავს და სხ, მასთანობას. ეს გახლავთ უწინდელი სოფლები, რომელიც აუოხრებით სპარსელებს და ლეკებს, და მკვიდრნი კი ზოგი უხოციათ, რომელიც ვერ გაუმაჰმადიანებიათ, ზოგი ტყვეთ უგზავნიათ ათასობით, თავიანთ სამფლობელოსკენ და ბევრნი მათგანი გაქციულან და გადასულან, უფრო მეტი ქართლში და მითი უხსნიათ თავის უსჯულო მტერთა მკაცრი სამართლისაგან. ზოგან თუ დარჩენილან დღევანდელი ქრიატიანენი, ისინი მხოლოდ იმ ხერხით, რომ იმ დევნულობაში ისინი დამალულან მინაში, დარნებში და იქ უცხოვრებთ წლითი წლობით. ჩუმათ ამოდიოდნენ ხოლმე იმ ხერხელებიდან, მინაზე მუშაობდნენ. მოიყვანდნენ სარჩოს და ისევ დაიმალებოდნენ ხოლმე. ისე ცხოვრობდნენ, რომ მტერმა არა იცნოს, სად და როგორც ცხოვრობდნენ გაკერპებული და არ დანებებულნი მკვიდრნი!.. წარმოიდგინეთ, ეკლესიებიც კი დარნებში ჰქონდათ. ხშირათ დარნებიდანაც უომიათ და გამლევი მტერი უხოციათ.

აი ასეთ მაგალითებს მოგიყვანთ, რაიცა კარგათ ამტკიცებს დარნებში წლობით ცხოვრებას ჯავახებისას.

მაგალითებამდე უნდა აღვნიშნო ის, რომ ხიზაბავრა

ხეობიდან, ღრმა სადაც ბევრი დასამალავი ხერხელები შეიძლება მოეწყობა მკვიდრთა. მინაში დარნები, კედლებში მალარობები და მისთანობა, რაშიაც თავს იმალება დენ წლითი წლობითა და მტერი კი ვერ აკვლევდა მათ მინაძრომიობას და ნაცვლად იმისა, რომ ეწყინათ მკვიდრთათვის, პირიქით, თვითონვე მარცხდებოდნენ უხილავი სროლისაგან, რომელსაც ვერ არჩევდნენ, საიდან და როგორ კვდებოდნენ თავიანთი მეომრები რაზმიდან!..

ზეპირ-გადმოყვანი

ერთხელ, ერთ ხიზაბავრელს თევზი დაუჭერია მტკვარში, რომელიც დარნის ხერხით წასულა (3 ვერსის სიშორე) წყალში. რომ დაბრუნებულა მეთევზევე ნანადირევით, ხიზაბავრის წყაროზედ (ეს წყარო დახატულია მოგზაურის N 33) დასარეცხად, გზაში მეზობელს თონე თებია და ორიოდვე ცხელი პურიც ეშოვა, რომელიც წყაროსთან ქვაზედ დაეწყო რეცხვის დროს. ამ დროს მტრის ფეხის ხმა გაუგია და თავზარდაცემული შევარდნილა დარანში, რომლის კარი ბალახ-ბულახში დამალული ყოფილა. მტერს ახალი თევზი და ცხელი პური რომ უნახია, გაკვირვებია და წაულაპარაკა თავისთვის: „მიკვირს და გამკვირვებია, ამ სოფლის ხალხისა, ჩვენ სოფლად პური ვერ გვემოვია, სიმშლი მოვიკლათ და ისინი მინაში სიბნელები ცხელ პურსაც სჭამენ და თევზებსაც შოულობენ“.

„ჯვარი ვაზისა“, 18 ივნისი, N12, 1906 წ.

რედაქტორ-გამომცემელი
მ.პ. დ. მულაშაშვილი-
პანაძე

გაგრძელება იქნება

თოკელი მარიბების გვარის ისტორია

სოფელი თოკი მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ზეგანზე. მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, ხოლო დასავლეთით – სოფელი ვარგავი. თოკი მიეკუთვნება ჯავახეთის და სოფლის მოსახლეობაც ჯავახელები არიან. სოფელში ცხოვრობენ ზარიძეები, თამარაძეები, ლეკიშვილები, დავლაშვილები და თარხნიშვილები.

სოფელი სამჯერ არის განადგურებული გაუკაცრიელებული და შემდეგ, ხელახლა განაშენიანებული. სოფელში ამჟამად მცხოვრები ყველა გვარი მოსულია ჯავახეთის სხვადასხვა სოფლებიდან და დასახლებულან მე-18 საუკუნის ბოლოსა და, ნაწილობრივ, მე-19 საუკუნის დასაწყისში. სოფელში მცხოვრები ზარიძეები და თამარაძეები არიან ერთი ოჯახის ჩამომავლები. ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ ახალქალაქის რაიონის სოფელ ორჯუაში, გვარად თამარაშვილები ყოფილან, 1770 წლის 20 აპრილის შემდეგ, ასპინძის ომში ერეკლე მეფის გამარჯვების შემდეგ, თურქები და, განსაკუთრებით, ლეკები, ძალიან გააქტიურებულან და სისტემატურად ანიოკებდნენ ჯავახეთის ქართულ მოსახლეობას, ხალხი შველას ვერსად პოულობდა და იძულებული ხდებოდნენ ჯავახეთი დაეტოვებინათ და სხვაგან გახიზნულიყვნენ. იგივე დაემართა ჩვენს წინაპარსაც – ლეკებმა ააოხრეს სოფელი ორჯუა და ჩვენი გვარის უმუშალო წინაპარი, რომლის სახელიც არ მახსოვს, ლეკებმა მოკლეს. მას დარჩენია მუდღე



ლაქ ახალციხეში, რომლის შთამომავლებიც არიან თამარაშვილები. ცნობილი მიხილ თამარაშვილი სწორედ იმ კაცის ჩამომავალი იყო. ქვრივი ქალი სამ შვილთან ერთად თოკის ბევრს შეუქედლებიათ, ვინაიდან აბაშიძეები იმ დროს ჯერ კიდევ ფარულად

მართლმადიდებლობდნენ, ჩაუთვლიათ, რომ გვარი თამარაშვილი იყო კათოლიკური და ქვრივი ქალისთვის მოუთხოვიათ, რომ გვარი შეეცვალა და დანერდიყო თამარაძედ. ამ ქალს მათი თხოვნა შეუსრულებია და თამარაძეებად დაწერილვართ, თოკში იმ დროს აბაშიძეების გარდა ასევე ცხოვრობდა რამდენიმე თურქული ოჯახი, რომლებიც თურქებმა სპეციალურად ჩაასახლეს ქართულ სოფლებში, რომ ქართველებისათვის თურქული ენა შეესწავლებინათ. ქვრივი ქალს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰყოლია სამი შვილი – ერთი ქალი და ორი ვაჟი. გოგო გათხოვილა და ვინ არიან მისი ჩამომავლები, აღარ ვიცით, ხოლო ვაჟებიდან ერთს ნიკოლოზი ერქვა და მის შთამომავლებს ნიკოლოანთ ეძახიან, ხოლო მეორეს ერქვა მათე, მას თათრები მურადას ეძახდნენ და მის შთამომავლებს მურადაანთ გვებაზიან, სოფელ კოთელიაში გვყავდა ნათესავები – ზარიძეები, რომლებთანაც ერთხელ სტუმრად წავიდა მათე (მურადა). კოთელიელმა ნათესავებმა მას დასცინეს, რა არის ქალის გვარი გაქვს, სირცხვილიაო. იწინა მათემ, ენ ქალის გვარი და დაწერა კოთელიელი ნათესავების გვარზე და გახდა ზარიძე, ამიტომაც ვართ ზარიძეები, ხოლო ნიკოლოზი დარჩა თამარაძედ და მისი შთამომავლები დღესაც თამარაძეები არიან.

ჩვენი გვარის გარდა, როგორც ვთქვი, სოფელში ცხოვრობენ ლეკიშვილები, მათი წინაპარი იყო დალესტანიდან, სოფელ კობახიოდან (შეიძლება კობახიო მხარეც იყოს).

ლეკების შემოსევის შემდეგ დარჩა ჯავახეთში და დალესტანში აღარ დაბრუნებულა, დაქორწინდა ქართველ ქალზე გაქართველდა და დასახლდა თოკში.

თედორაძეები, რომლებსაც მამულანთ უწოდებენ, მოსულან ჩრდილის ტბის სანაპიროზე არსებულ რვა ქართული სოფლიდან ერთერთიდან, კერძოდ, ურთიდან.

დავლაშვილები მოსულან ასპინძის რაიონის სოფელ როკეთიდან, მათ ჯერ ვარგავში უცხოვრიათ და მერე თოკში გადმოსულან. ბოლოს, უკვე მე-19 საუკუნის 40-იან წლებში მოსულა თარხნიშვილი ქართლიდან, მისი გვარი იყო კასრაძე, მას ერქვა პავლე, რომელმაც მოიტაცა ლეკიშვილები გოგო და დაიმაღლნენ თოკის ხევში არსებულ გამოქვაბულში. ლეკიშვილები მას მოსაკლავად დაეძებდნენ, ამიტომ იგი წავიდა ახალქალაქში და მიაკითხა პოლიციას, უფროსი პოლიციის ყოფილა გვარად თარხნიშვილი. პავლეს უთქვამს, რომ გოგო მოვიტაცე, ცოლად მინდაო და მისი მამა ბიძები მოსაკლავად დამდევნო, სთხოვა დახმარება. პოლიციის უფროსი მივიდა სოფელში და გააფრთხილა ლეკიშვილები, რომ პავლესთვის ხელი არ ეხლოთ. პავლემ გადაიხადა ქორწილი და მეფეგარედ პოლიციის უფროსი დაიყენა, შემდეგ მის გვარზე თარხნიშვილები დაენერა.

მთქმელი ბიორბი ზარიძე 73 წლის, ჩაინერა ბიორბი ზარიძე, 20.10.2019 წელი.



ასპინძის საშუალო სკოლის მოსწავლეები. გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისი

ფოტოკორი

ჭობარეთი

პატარა საოცრებაა ეს ჭობარეთი მზიანი, შეზავებული ჰაერით, ღვიის და ფიჭვის ტყიანი. ამ დრომდე შემორჩენილი წარსულის ნაშთებია, იდუმალებით მოცული გვირაბებ-დარბეზიანი. ძირძველი, ფუძემდგარი, ბავშვიან-მოხუციანი, ტრადიციების დამცველი, წყნარი და მშვიდობიანი. გამრჯე, მეურნე სოფელი და დოვლათ-ბარაქიანი. მესხური სულის სამჭედლო, შვილთათვის ამაგიანი, საიშედო და ამტანი, პირიან-ნამუსიანი, შრომაში გამობრძმედილი, ზრდილი და თავაზიანი. დიდხანს სტანჯავდნენ რჯულისთვის, არ ჩანდა დასასრულია, მაინც ვერ შეაცვლევინეს ქართველობა და რჯულია. გამრავლდი, ჩვენო სოფელო, — სიმრავლე სიხარულია, ასე ამბობდნენ წარსულნი, აცხონოს მათი რჯულია. ისწავლე, სწავლით ქებულო, მესხო, რუსთველის ჯიშისავე, წიგნი წყაროა ცოდნისა, — სწავლა-წვრთნა არის ნიჭისა. ღმერთი გვარავდეს, სოფელო, მუდამ გენეროს ჯვარია, შური და მტრობა გაცილოს, ძმამ ძმას უმაგროს მხარია.

ავტორ-მთქმელი ზაურ ჯვარიძე, სოფელი ჭობარეთი

კურორტს რეაბილიტაციური სილი აქნება



ბალნეოლოგიური კურორტი „ასპინძა“ უძველესი დროიდან გამოირჩევა თავისი უნიკალური სამკურნალო თვისებებით, ამიტომაცაა, რომ იგი ხშირად ფიქსირდება როგორც ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, ასევე ქართულ მედიცინაში. ასეული წლებია იგი აქტიურად ემსახურება სხვადასხვა დაავადებების მქონე ავადმყოფებს და, ამავდროულად, მისით სარგებლობენ ჯანმრთელი ადამიანებიც. აქ ყოველწლიურად სამკურნალოდ მოდიან როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, აგრეთვე საზღვარგარეთიდანაც, განსაკუთრებით კი მეზობელი სომხეთის რესპუბლიკიდან. კურორტის ხელმძღვანელობა თუმცა დღე-ნიადაგ ზრუნავს მისი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, არის რიგი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა მათ შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად აღემატება და ამ საქმეში აქტიურ დახმარებას ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები კისრულობენ. ამჯერადაც ასე მოხდა. კერძოდ, თითოეული ასპინძელისათვის ცნობილია, რომ კურორტთან დამაკავშირებელი მატერიალური კულტურის თვალსაჩინო ძეგლი, ე.წ. დაკიდული

ხიდი, რომელიც თავისი ორიგინალობითაც გამოირჩევა, კარგა ხანია საჭიროებდა კაპიტალურ შეკეთებას, რადგან უკანასკნელ ხანს შეუძლებელი გახდა მისი შემდგომი ექსპლოატაცია, ამ მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით, გამოიძებნა საჭირო ფინანსური ასიგნებანი და დიწყო აღნიშნული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ალმა“. სატენდერო სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 49 000 ლარს და სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრება გათვალისწინებულია მიმდინარე წელსვე.

სპორტი

მარი ნადირაძემ გვასახელა



დასრულდა ახალციხის ცენტრალურ სტადიონზე, მიხეილ იაძის სახელობის საერთაშორისო შეჯიბრი მძლეოსნობაში.

ტურნირში ტრადიციულად საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და მუნიციპალიტეტებიდან, ასევე მეზობელი ქვეყნებიდან სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსული სპორტსმენები მონაწილეობდნენ, რომლებმაც ძალები სხვადასხვა მანძილზე სირბილში, სიგრძეზე ხტომაში და ბირთვის კვრამში მოსინჯეს. აღნიშნულ ტურნირში ასპინძის სასპორტო გაერთიანების მძლეოსნობის სექციის სპორტსმენმა მარი ნადირაძემ 800 მეტრ სირბილში II საპრიზო ადგილი მოიპოვა. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს მარი ნადირაძეს დამსახურებული ტიტულის მოპოვებას.

ერთობლივი პარჯიშები

17 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრამდე, საქართველოს ძიუდოს ფედერაციასთან შეთანხმებით და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სასპორტო გაერთიანების ხელშეწყობით საჭიდაო დარბაზში მიმდინარეობს ერთობლივი ვარჯიშები ძიუდოში გოგონათა შორის, რომელშიც მონაწილე-

ობენ თბილისის, ბათუმის, საგარეჯოსა და მცხეთის ძიუდოსტი გოგონები. მონაწილეთა შორის არიან ბოლო კადეტთა შორის ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის ოთხი მონაწილე. შეკრება ემსახურება ასპინძის მუნიციპალიტეტში ძიუდოს პოპულარიზაციას.



ინფორმაციები მოგვანოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია